



გერმანიის
გენერალი



საერთო ქურნალი

მუსავატი



გაისი 1.

№ 9.

არა მარტინ შემოფენა-გაჭრობა მსხვილ-ფეხა საქონლისა... 3
შ 0 6 1 5 1 6 0:

პირველი სარაინო გამოფენა-გაჭრობა მსხვილ-ფეხა საქონლისა...	3
3. ლანგ.....	საქონლის ჯაშის გაუმჯობესობა და ბეითფები... 4
6. ხუნდაძე.....	ფილატესერა
მღ. ალ. ჯალიაშვილი.	მეუკირეს კადენდარი. აპრილი..... 8
ს. კახელიძე	გლეხ-კოჩერატორის სახელმძღვანელოდ... 12
მესხი კ. გვარამაძე....	მასალა სამეცნიერო სიტუაციურის შესადგენი... 15
განცხადება.....	16

მთავრობა 0.8 იუნიცეფის მინისტრი

სამეურნეო ჟურნალი

მრსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს შექნაფში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა: — ახლ შეიღო კ..
ახაზდეული, ახალია ი., ბერეკ, შეიღო კ., გულბათიშვილი კ., გვარამაძე კ., გორთაშვილი კ.,
გლილაშვილი ზ., გაჭრიშვილი კ., თაქთაქიშვილი კ., თოიძე კ., თოსელიანი ე., გახლიძე ს., გარ-
ზელაშვილი ელ., გარალელი კ., მაჩიბელი ა., მღიგანი დ., მჭედლიშვილი კ., ნახუცენიშვილი კ.,
ონიგოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. კ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი.,
ფალაგნელიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე კ., ქარციგაძე მ., ყიფანი პ., ჩიგაძე გ., ცხადა-
ძე გრ., ხუნდაძე ს., შავლივი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქა ლ., გახელი მევენახე, სემიონვი ექიმი.

რედაქტორი მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომლობა საქურადლებოდ.

შურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი
(თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი-
ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორის შეასწოროს და შეამოკლოს.
წერილები და კორექციონები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დაა-
ბრუნებლად.

რედაქტორი მზით არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავ-
ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრელვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების
შექრინავასალებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი
(ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თარი შაური.

წლიური აბონეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთვის შეთანხმებით.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტორი შურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ
დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურნალი წელიწადში დის ვ მანეთი.

რედაქტორის ადრესი: თიფლის, ბარათინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე



პირველი სარაიონო გამოფენა-ვაჭრობა მსხვილ-ფენა საქონლისა

მომავალ ზაფხულს სოფელ ვორონ-ცოვები, ბორჩალოს მაზრაში კავკა-სის სამეურნეო საზოგადოება გამართავს სარაიონო გამოფენა-ვაჭრობას მერძევე საქონლისას.

გამოფენა დაიწყება 12 თიბათვიდან და გასტანს 14 თიბათვემდე.

გამოფენა იქნება შემდგარი ორი განყოფილებისაგან:

I—რქიანი საქონელი.

II—მაშინა იარაღები, რომელთ სა-შუალებით მზადდება საქონლისათვის სხვადასხვა საჭმელი და ქვეშ დასაგები მასალა; მცენარეული საკვებავები და ისეთი საკვებავები, რომელნიც თვით ცხოველებიდანვე არიან მიღებულნი; საქონლის მოსავლელად სახმარებელი მაშინა-იარაღები.

ასენა-განმარტება ყველა საწარმოვო მაშინა-იარაღებისა, რომელნიც იხმა-რებიან მესაქონლეობაში; დათვალიე-რება საუკეთესოდ მოწყობილ ბინები-სა; ადგილობრივი მესაქონლეობის გან-ხილვა და სხვა.

გამოფენაზე მიიღება საქონელი: ა) აქაური—ადგილობრივი, ბ) საზღვარ-გარეთის ჯიშისა, ხოლო აქ, რუსთ-ში, გაზრდილი და გ) ნარევი.

შენიშვნა. კავკასიის გარეშე აღგი-ლებიდან მორჩეკილი საქონელი მხო-ლოდ ერთიერთმანეთთან შედარებით შეიძლება დაფასდეს ცალკე და არა აქურ საქონელთან შედარებით.

გამოფენაზე მიიღება ტანიანი საქო-ნელი: ა) ხარები არა ნაკლებ წლინა-ხევრისა, ბ) ძროხები, გ) დეკეულები

არა ნაკლებ ერთის წლისა, დ) ხბორები არა ნაკლებ ხუთის თვისა.

ვისაც მონაწილეობის მიღება სურს გამოფენაში, მან უნდა თავისი სურვი-ლი წინადაც გამოუცხადოს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში არსებულ შესაქონლეთა ბიუროს.

გამოსაფენად მოყვანილი საქონლის შესახებ უნდა შემდეგი ცნობები იყოს წარმოდგენილი:

1. სახელი, მამის სახელი და გვარი პატრიონისა; რა წოდებისაა, სად ცხოვ-რობს და ფოშტის აღრესი.

2. გუბერნია, მაზრა და სოფელი ან ბინა, საიდანაც საქონელია მოყვა-ნილი.

3 უკანასკნელი ფასი გასასყიდი, თუ პატრიონს გაყიდვა სურს საქონლისა გამოფენაზე.

ამის გარდა სასურველია ცნობები აგრედვე შესახებ იმისა, რასა სჭიმს საქონელი, რამდენი ეძლევა ეს საჭ-მელი, რამდენს იწვევლის და სხვა. ამ ცნობების ჩასაწერად ბიურო გაუგზავნის მსურველთ შესაფერ ბლანკებს.

გამოფენიდან საქონლის უკან წაყვა-ნა არ შეიძლება, ვიდრე გამოფენა არ გათავდება.

საქონლის მიღება გამოსაფენად დაი-წყება 10 თიბათვიდან და შესწყდება 12 თიბათვის შუადლისას.

თითოეულ საქონელს უნდა თავისი საბმური ჰქონდეს და ჰყვანდეს მომვ-ლელი, რომელიც რჩება საქონელთან, ვიდრე გამოფენა გათავდება, იმ შემ-

თხვევაშიაც კი როცა საქონელი გამოფენის გათავებამდე გაიყიდება.

საქონლის ეკსპერტიზა დაიწყება გამოფენის პირველი დღიდანვე.

საუკეთესოდ ცნობილ საქონლებს დანიშნებათ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მენდლები, მიეცემათ პატ-რონებს ნარებ შენდლების შესახებ მოწმობები და მათდამი გამოცხადებული ქებისა და მადლობის დასამოწმებელი ქაღალდები.

გამოფენაში მონაწილეობის მიღების მსურველნი მიმართვენ შესაქონლეთა ბიუროს 8 თიბათვემდე ტფილისში და შემდეგ სოფელ ვორონცოვკაში.

აღრესი ტფილისში: კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. ბარია-ტინსკის ქუჩა, № 5.

სოფ. ვორონცოვკაში: ჯელალ-ოღლი, ბორჩალოს მაზრა, სოფ. ვორონცოვკა. რეიან საქონელთა გამოფენის ბიუროს.

საქონლის ჯიშის გაუმჯობესობა და გეითლები

ამიერ კავკასიაში და მთელ რუსეთშიაც ეხლა საქონლის ჯიშის გაუმჯობესობა თანდათან მეტ ყურადღებას იქცევს იმ პირობა-გარემოებათა ძალდატანებით, რომელიც ამ 25 – 30 წლის განმავლობაში გამოირკვნენ ჩვენს მეურნეობაში.

სწორედ ამ ხნის განმავლობაში იმა არ ძრიელ ხვნა-თესვამ და საძოვრები კი სამაგიეროდ დაცოტავდნენ, რის გამო, ცხადია, მესაქონლეობაც უნდა შემცირებულიყო. ასეც მოხდა.

საქონელმა მართლა ძრიელ იქლო მთელ სახელმწიფოში და რაღაც ყოველი ის საჭიროებანი, რასაც საქონელი გვიკმაყოფილებს, კი არ კლებულობენ, არამედ უფრო მატულობენ ცხოვრებაში, ამიტომ თუ გვსურს რომ ეს ცვლილება ჩვენს მეურნეობაში ძვირად არ დაგვიჯდეს, უნდა აწ არსებული ჩვენში საქონლის რიცხვთა ნაკლებობა მესაქონლეობის ზედმეტი გამოსავლიანობით ავინაზლოუროთ.

მეტი გამოსავლიანობა კი ამ საქმეში, როგორც ვიცით, დამოკიდებულია საქონლის ჯიშის გაუმჯობესობაზე და მათ წესიერ მოვლა-შენახვაზე.

ყოველი გვარი ზომა ამ მიზნით მისალები უნდა მეცნიერულ გამოკვლევაზე და პრაკტიკულ ცდა-დაკვირვებაზე იყოს დამყარებული და ამიტომ პირველი ადგილი ამ საქმეში ჩვენის აზრით უნდა საბეითლო სანიტარიას და ჰიგიენას დაეთმოს.

მეურნეობა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს რომ ავადმყოფი განკურნოს ავადმყოფისაგან, არამედ იმაშიაც რომ კარგი მყოფს მისცეს დარიგება ავად არ გახდეს და ასწავლოს გზა სხეულის ყოველმხრივ განვითარებისა.

საკითხები, მაგალითად, მაზრად საქონლის გამოკვების შესახებ, მათ გათამამების დაკავშირება მათ საზრდოობისთან, რომელიმე განსაკუთრებული მიზნით ჭმება, ზოგიერთ ავადმყოფობის ღროს საჭმლის შერჩევა და სხვა, ყველა ეს პირდაპირ საგანს შეადგენს სამკურნალო მეცნიერებისას.

ამასთანავე შეიძლება მ-ზარდი საქონელი ყოველის მხრით სალი და კარგი დაიბადოს, მაგრამ ისე უწესოდ ინახებოდეს და იკვებებოდეს, რომ არა თუ უძლური, უგვანო გამოვიდეს,

არამედ რომელიმე სატკივარ-ჭირითაც დაავადდეს.

ამიტომ ყოველთვის, როცა კი რომელიმე საქონელი მოლოდინს არ ამართლებს, პატრონმა უნდა რჩევისათვის ბეითალს მიმართოს.

საქონლის ნახირის გაუმჯობესობაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედვებულის არჩევის და ძროხების გამაკიანებას.

ამ გზით ძრიელ დიდი ცვლილება შეიძლება შევიტანოთ მთელი ჩვენი საქონლის ავ-კარგიანობაში, ხოლო აქცი ისევ სასტიკი ყურადღებით უნდა მოვიქცეთ, რომ სანაშენო საქონელი სალი და ჯანმთელი იყოს, თორებერთიც რომ შეჰკვედს მათ ჭირ-სატკივრიანი, ავადმყოფობა იმიდამ შემდეგში მთელ ნახირს გადაედება და ყოველი ჯაწეული შრომა და ხარჯი ამაռი ჩაიკვლის.

ასეთი სიფრთხილით მოგცევა შეიგნება ეხლა ერობამ, ბევრმა კერძო მენახირეებმაც რუსეთში და ყოველი ზომის მიღებაში საქონლის გასაუმჯობესებლად ჯერ გამოცდილ ბეითლებს მიმართავენ ხოლმე რჩევისათვის.

აქედან აშკარად ჩანს, ვინ უნდა ედგეს თავში იმ დაწესებულებებს, რომელზედაც არის მინდობილი საქონლის გასაუმჯობესებლად შესაფერი ზომების გამოკვლევა და განხორციელება მთელ სახელმწიფოში, მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ რომ ყველა ის სპეციალური სამეცნიერო საკითხები, რომელიც უნდა წაემდგრავნენ საქონლის ჯიშის გაუმჯობესობას, ბუღის არჩევას, გამაკიანებას, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი პატოლოგისთან, ე. ი. იმ სპეციალურ სამეცნიერო ცოდნასთან, რომელიც მარტო ბეითლებსა აქვთ ხელთ.

ასე უყურებს ამ საქმეს თვით ხელმწიფო მართველობას, რომელმაც მთელი რაზმი სპეციალურად მომზადებული ბეითლებისა მიუჩინა იმ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც ცხენების გაუმჯობესობის საქმე აბარიათ სახელმწიფოში და რომელთა მოქმედების თვალურის გამდევნებელნი და დაშვებულ შეცდომათა მიმთითებელნი გარეშედ ისევ ამ საქმის მცდლნე ბეითლებივე არიან.

ხოლო რაც უფრო მეტი დრო გადის, იმდენი მეტი ცოდნა და გამოცდილება სჭირდებათ მოხელეებს ამ საქმეში, უკეთესი მომზადება კი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა დღეს არსებულ სპეციალურ სასწავლებლებში უფრო ფართო პროგრამით გაივლიან ყველა იმ საგნებს, რომელიც მესაქონლეობის შემოსავლიანობას და ზოოტეხნიკურ წარმოებას შეეხებიან.

ასეთ ჩვენ შეხედულებას ეთანხმება ფ. ა. ბერეზოვის მიერ მოხსენება: „მნიშვნელობა საბეითალო ორგანიზაციებისა მესაქონლეობის შესახებ კითხვათა გარდაწყვეტაში რუსეთში“, რომლის გამო სრულიად რუსეთის ბეითალთა კრებამ თავის დადგენილების მესამე მუხლად, დასკვნა: „დღეს ბეითალთა გათავთავადება ზოოტეხნის ცალკე დარგებათ შესწავლისათვის უკვე გამორკიცეულ და გადაუდებელ საჭიროებად უნდა იყოს მიღებული და ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად უნდა საბეითალო ის სტიტუტებში ზოოტეხნისათვის შესწავლას მიეკუთვნოს პროგრამა იმდენად, და გაფართოვდეს რომ მიღებული უფრონის გამოყენება გაუჭირებლივ შეიძლება ცხოვრებაში“.

გ. ლანგ.

ლილო ქისირაძე

ყველა ჩვენებურ მევენახეს და მემა-
მულეს გაგონილი აქვს ვაზის საშინელი
მტერის ფილოქსერის სახელი, მაგრამ
დაახლოებით-კი მას ვერ იცნობს.

ამიტომ მე მინდა ამ მოკლე წერილში
გავაცნო მკითხველს ფილოქსერის ვი-
ნობა. ფილოქსერია მოყვითალო, ლი-
მონის ფერის მეტად წვრილი მწერია.
თუ თვალი კარგათ არ გიჭრით, ვერც-
კი დაინახავთ. გარკვევით და ნათლად
გაარჩევთ მას, თუ დასანახავათ მის შე-
ლიებთ გამადიდებელ შუშას, რომელ-
საც სახელათ ლუპა ჰქვიან ლუპაზედ
კარგად მიკროსკოპი აჩენს, მაგრამ ეს
რთული იარაღია, მის მოხმარებას მეტი
ცოდნა ეჭირვება.

ფილოქსერა 1854 წელს აღმოჩინეს
ამერიკაში ფოთოლზედ, სადაც მას გაე-
კეთებინა პატარა პარკუჭანები, რომ-
ლებიც ფოთოლს მუწუკვით გამოს-
ხმოდნენ. როდესაც ზოგიერთი პარ-
კუჭანა გასჭრეს, ნახეს შიგერთი დედა-
ფილოქსერა და რამდენიმე ასი კვერ-
ცის.

კვერცხებიდან იჩეკებოდენ პატარა
ჭიები, გამოდიოდნენ პარკუჭანებიდან,
გადაცოცდებოდნენ ახალ ფოთლებზედ
და ახლა იქ იკეთებდნენ ბუდეებს.
ფოთლის ფილოქსერა სწოვს ფოთლი-
დან მზა-მზარეულად მომზადებულს სა-
ზრდოს მცენარისას და ამგვარად ასუ-
ტებს მთელს ვაზს.

ფოთლის ფილოქსერა ძალიან საშიში
მტერი არ არის, რადგან მიწის ზემოთ
იმყოფება, თვალით ჩანს და ამიტომ
ბრძოლაც მასთან ადვილია. ფოთლის
ფილოქსერა ჩვენებურ ვაზს ხშირად

არცყო უჩნდება. საუბედურო ის არის
რომ ფოთლის ფილოქსერია ცხოვრების
ბოლო ხანებში მიწაში გადადის და
ვაზის ძირებზედ ბინავდება.

1867 წელს ფილოქსერა აღმოჩნდა
ერთდამავე ღროს ვაზის ფოთოლზე-
დაც და ძირებზედაც.

სწორული ვაზი რომ მოვთხაროთ და
მის ძირებს ლუპით დავაკვირდეთ, ვნა-
ხავთ მრავალ ალაგას, უფრო-კი იქ
სადაც ძირის კანია გაბზარული, ყვი-
თელ ლაქებს, რომლებიც წარმოადგე-
ნენ აღარებელ ფილოქსერის კრებას.
ფილოქსერა თავისი წვრილი ხორთუ-
მით კბენს ვაზის ძირს, აკუქრებს ნორჩ
ძირებს და სწოვს იქიდან საზრდოს;
ამ ადგილებში ძირი ლპება და მთელი
ვაზიც ხმება. უფრო ძალიან ფილოქ-
სერა წვრილ და ნორჩ ფესვებს ეტა-
ნება, აკორდებს და ალპობს მათ.

მესამოცე წლებში საფრანგეთში $2^{1/2}$
მილიონი დესეტინა ვენახი ითვლებო-
და ფილოქსერამ 15 – 20 წლის
განმავლობაში ნახევარზედ მეტი სულ
პირწმინდათ მოსპო, გაახმო.

იტალიაში, მაგალითათ, 1879 წელს
20 დესიატინა ვენახი იყო ფილოქსე-
რით სწორული და შემდეგ 10 – 12
წლის განმავლობაში 136,000 დესეტი-
ნას მოედო.

ჩვენში ფილოქსერა გაჩნდა 1880
წლებში. 1890 წლებში ფილოქსერა
საშინალდ გავრცელდა ქუთაისის გუ-
ბერნიაში, შემდეგ გაღმოვიდა ტფი-
ლისის გუბერნიაში, — მოედო ქართლის
ვენახებს და წელს-კი ჩვენს სასიქადუ-
ლო კახეთსაც ეწვია.

როგორც ზემოთა ვსქვით ის ფილოქსერაა საშიში, რომელიც როგორც ამერიკულ ვაზის ფესვებზედ ისე ჩვენებურ ვაზის ფესვებზედაც სცხოვრობს. ჩვენებურ ვაზის ფოთოლს მაგრე რიგად ფილოქსერა არცკი უჩნდება.

ფილოქსერას მთელს თავის ცხოვრებაში რამდენიმე ხანა აქვს, ორი-სამი წლის განმავლობაში რამდენიმე ჯერ იცვლის კანს და, მიხედვით იმისა რა ხანაშია, სხვადასხვა ფორმას იღებს. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი: როგორც მოგეხსენებათ უფრო საშიში ფილოქსერა ძირებზედ სცხოვრობს, მათი რიცხვი მილიონობით ითვლება; გამდლებით სუსტი არსებაა, მცირედი მიზეზით, სიცივით, მეტი სისველით და სხვა ადვილად კვდება, მაგრამ სიმრავლის უნარი კი განუსაზღვრელი აქვს. ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში წყვილ-წყვილათ დედალ-მამალი ფილოქსერა მიწიდან ამოცულებიან ზევით, სადმე ვაზის ძველი კანის ქვეშ ყუდრო ადგილს პოულობენ და იქ იპეპლებიან. შემდეგ მამალი კვდება და დედალი კი სდებს ერთად-ერთ კვერცხს და ისიც კვდება. ეს ერთი კვერცხი რჩება გაზაფხულამდე კანის ქვეშ მიწებებული. მეგვარათ დადებული კვერცხი ბევრია ბებერი ვაზების კანს, ქვეშ შემოდგომაზედ. რაც ერთი კვერცხიდან წარმომდგარ მოდგმაზედ მოვიხსენიეთ იგივე ითქმის სხვებზედაც. გაზაფხულზედ რაკი ამ კვერცხს სითბო დაპკრავს, გამოიჩეკება ერთი დედა ფილოქსერა, რომელიც ჩადის მიწაში და აქ ბინავდება ვაზის ნორჩი ფესვზედ. ამ ერთი დედის მოდგმა 1—2 წლის განმავლო-

ბაში 7—9—10 მოდგმას აჩენის დაუუბი პეპლავად.

I	მოდგმა	სდებს	600—500	კვერცხს.
II	"	"	500—450	"
III	"	"	450—400	"
IV	"	"	350—300	"
V	"	"	250—200	"
VI	"	"	200—150	"
VII	"	"	150—100	"
VIII	"	"	50 — 60	"

უკანასკნელად ფილოქსერები დაწყვილდებიან, ამოდიან ვაზის ტანზედ და გამრავლებას იწყებენ ისევ თავიდან. რასაკვირველია ყველა ერთ დროს ვერ ასრულებენ ამ ხანას, ამიტომაც არის რომ ვაზის ფესვზედ ფილოქსერა არაოდეს არ თავდება.

ეს ციფრები, მიხედვით იმისა თბილი ტაროსია თუ ცივი, მიწის სიმრმეზედ ხდება ეს გამრავლება თუ ზედაპირთან ახლოს, ცოტათ თუ ბევრად იცვლებიან. მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმ ერთი თავდაპირველი კვერცხიდამ იმდენი მოდგმა გამოვა, რომ თუ იანგარიშებთ და გადამრავლებთ, მიიღებთ ისეთ დიდ რიცხვს, რომლის წაკითხვა შეუძლებელი იქნება.

ზოგი ფილოქსერის უკანასკნელ მოდგმას ფრთხები ესხმება, მიწიდან ამოდის. დღისით დაფრინავს, ქარიან დღეში ძალიან შორს შეუძლიან ამოყოს თავი. ფრთიანი ფილოქსერაც რამდენიმე კვერცხსა სდებს, რომელთაგანაც ჩვეულებრივი ფილოქსერა იჩეკება.

ფილოქსერით დასნეულებულ ვენახს, რომელსაც ერთიანად არა აქვს ჭირი მოდებული, თბილოვეში მაღლიდან რომ დახედოთ აღვილად შეამჩნევთ რომ ალაგ-ალაგ ვაზები დაღრეკილა—დადა-

ბლებულა, ფოთლებს მწვანეთ ღაზ-ღაზი აღარ გააქვთ, დაწვრილებულან, ყლორტები დასუსტებიათ, ერთი სი-ტყვით ვაზები გახმობას ლამობენ. სულ სხვაა ჯან-საღი ვაზი!

მშრალ ალაგას გაშენებულ ვენახს ადვილად იმონებს ფილოქსერა და 4—5 წლის განმავლობაში ერთიანად ახმობს. თუ ნიადაგი სველია, ვაზი იქ ფილოქსერას 8—12 წელიწადს უძლებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ის ვენახები, რომლებიც ვაკე ადგილას არის გაშენებული და ხშირად ირწყვება, ფილოქსერას 20—25 წელიწადსაც უძლებს.

პირველ წელიწადს ფილოქსერის გა-ჩენისას ვაზი უფრო მომეტებულად ისხამს ყურძენს. ეს იმიტომ რომ ვაზის ფესვები მრავალ ადგილას იკოდება მტრის ხორთუმით, წვენს კარგავს, დანაკარგის შესავსებათ ძლიერად სწოვს მიწიდან საზრდოს, მაგრამ ამგვარი შესრობლება ხანმოკლეა, ჩვენებური ვაზის ძირი სუსტი და ნაზია, ვერ უძლებს ფილოქსერის შხამს და მეორევე წლიდანვე იწყებს ლპობას და ხმობას.

ფილოქსერამ ბევრი სახელმწიფო დაალონა და დააფიქრა. ვერავინ გაიგო რითი ეშველათ ვენახებისათვის. მეც-

ნიერებამ ბევრგვარი საშუალებაჲს ცალ, მაგრამ არა გამოვიდა-რა. თუ ვინმე გამოიგონებდა რამე უებარ წამალს მი-ლიონებს ჰპირდებოდნენ.

პირველ ხანებში ძალიან მიღებული იყო ეგრედ წილებული რადიკალური ექიმობა, ე. ი. რომელ ვენახშიაც ფი-ლოქსერას აღმოაჩენენ, ვაზს სწვა-ვენ, მიწაში საწამლავს ასხამვენ, ძი-რებს იღებენ და სწვამვენ, ერთი სი-ტყვით იმ ადგილს ვაზის ხსენებას სპობენ. აღკრძალული იყო 5—7 წლის განმავლობაში იქვე ხელახლა ვაზის გაშენება და სხვა. ამგვარად სურვილი ჰქონდათ ფილოქსერა საღაც გაჩნდა, იქვე მოესპოთ და ამითი მახლობელი ვენახები ეხსნათ ამ ჭირისაგან.

თუ ამ რადიკალური საშუალების ისტორიას კარგად გავიცნობთ, დავრ-წმუნდებით, რომ ასეთ „ექიმობას“ შესამჩნევი სარგებლობა არ მოუტანია და ფილოქსერა დღესაც საშინელი სისწრაფით ვრცელდება.

ამ კახეთშიაც „მოსპეს“ წელს ის ორი დესეტინა ვენახი, საღაც აღმოჩნდა ეს სენი, მაგრამ სამწუხაროდ ამითი კახეთი ფილოქსერისაგან არ არის ხსნილი.

ს. ხუნდაძე.

გეოლტკრის კალენდარი

აპრილი

ბუდის გაფართოება. — ჩვენს ქვე-ყანაში ხანდისხან მარტში ისეთს მშვე-ნიერს დღეებს იქრეს, რომ ფუტ-კრები არამც თუ უვავილის მტვერს (ჭერს), არამედ ბევრჯელ ახალ თაფლ-საც შოულობენ. აქედან არც საკვირ-ველია, რომ ფუტკრის ბარტყობაც ისე

უხვად მიღის, რომ ბუდის გაფართოე-ბა ხშირად მარტშივე ხდება ხოლმე საჭირო. ყოველ შემთხვევაში ბუდის გაფართოების დროს თვით ფუტკრები გვიკარნახებენ: როდესაც ბუდე იმდე-ნად გაიგება რომ ფუტკრები ბუდეში ჩაყუდებულ ფიცრის მეორე მხარესაც გადავლენ, ჩარჩების ჩამატება და მით ბუდის გაფართოება დაუყოვნებლად



საჭიროა. ჩარჩოები ყოველთვის თითო-
თითოთ უნდა ჩაემატოს.

სასურველია ამ დროს წარსული
წლიდან ფიჭა-დამთავრებული ჩარჩოე-
ბი ჩაედგას, რადგან ადრე გაზაფხულ-
ზედ ფუტკრები სანთელს არ ამზადე-
ბენ და ახალი ფიჭების გაკეთება ერ-
თობ უძნელდებათ. ხოლო აპრილის
ბოლო რიცხვებიდან-კი, ეს საჭირო
აღარ არის რადგან გარედან შემოსუ-
ლი თაფლი სკარბობს ყოველ დღიურ
თაფლის ხარჯს, რომელიც მომეტებულ
ნაწილად ფუტკართა ახალ თაობის გა-
მოკვებას უნდება, და ფუტკრები უხვად
ამზადებენ სანთელს.

ჩარჩოების ჩადგმა შუა ბუდეში არას
გზით არ შეიძლება: ჯერ ერთი რომ
ხელოვნური ფიჭა ბუდეს ორად ჰყოფს,
რასაც ბარტყის გამოჩეკვა-აღზრდაზედ
ცუდი გავლენა ექნება, მეორე—შუა
ბუდეში უფრო შედარებით ცხელა,
რის გამო ხელოვნური ფიჭა სანამ გა-
მოშენდება, დაიგრიხება, დაკუზიანდება
და ხშირად ჩაიფლება კიდეც.

ჩარჩოები უნდა ჩაიდგას სკაში ცა-
ლი მხრიდან და მოთავსდეს ორს განა-
პირა სრულებით დამთავრებულ ფიჭებს
შუა, რომ ახლად ჩადგმული ხელოვ-
ნური ფიჭის უჯრებიც თანასწორად
ამოაშენონ. ამოშენებამდე ჩადგმული
ფიჭები ხშირად უნდა დავათვალიეროთ,
რომ არ ჩაიგრიხნენ —ჩაიფლალნენ.

ხელოვნური ფიჭების მომზადება გან-
საკუთრებულ სახელოსნოების მოწყო-
ბას თხოულობს. ჩვეულებრივ მეფუ-
ტკრისათვის, გინდაც რომ 100—150
სკის მესაკუთრე იყოს, უფრო ხელ-
საყრელი იქნება მზად მომზადებული
ფიჭები იყიდოს, ამისათვის საჭიროა
ჩაუტანოთ რომელსამე ფირჩას თქვე-

ნივე სანთელი (ცვილი) და გარდა ჩაუტანოთ
დოთ თვითეულ ფუტზედ 8 მანებრ.

**ხელოვნური ფიჭის ჩარჩოზედ მი-
წებოება.**—ფიჭები რამდენსამე წელსა
სძლებენ, ოდონდ მკვიდრად იყვნენ
ჩარჩოში ჩაკრულნი, რომ არ ეშინოდეთ
ჩაულისა არც სიცხეში, არც სკების გა-
დატან-გაღმოტანაში და არც თაფლის
გამოქავის დროს.

სიმკვიდრისათვის ჩარჩოებს უნდა
მავთული ჩაეხლართოს. ამ საჭიროათვის
საჭიროა წინადვე შევიძინოთ მოკალუ-
ლი წმინდა მავთული, აგრაფები ანუ
ორკვე წმინდა ლურსმები, აგრაფების
ჩასარჭმელი იარალი (იხ. 8), უაბლეს
რგოლი (იხ. 9) და ცვილის საღნობი
ჩაიდანი. ყველა ეს იარალები იყიდება
ტფილისში სააბრეშუმე სადგურზე და
ლიუმას მეფუტკრეობის იარალის სა-
წყობში.



(სურ. 8)

პაშუს იარალს ტარში აქვს ჩარჭმუ-
ლი რკინა, რომელზედაც წამოცმუ-
ლია მოძრავი მავთულის რჩოლი და
მოძრავი რკინის მასრა, რომელსაც წინ
წვერი ისე აქვს ამოჭრილი, რომ შიგ
აგრაფები უმეტნაკლებოდ იმართება.
სახელურს რომ ხელს აჭერთ, აგრაფი
ხეში იმდენად ჩადის, რომ მავთულის
გასაყრელი ადგილი ხესა და აგრაფ შუა
კიდევა რჩება.

მავთული უნდა ჩაეხლართოს მხო-
ლოდ ბუდის ჩარჩოებში, რადგან ესე-
ნი ორჯელ ფართოები არაა მაღაზიის
ჩარჩოებზე და ჩაულის შიში მარტო
ამათ აქვთ. **პაშუს** იარალით ჩაურჭვავთ
ჩარჩოში აგრაფებს და გახლართულ
მავთულებზე დავაკრავთ ფიჭებს. საჭი-

რომ ვიქტორით ისეთი ფიცარი, რომ ჩარჩოში თავისუფლად იმართებოდეს და ჰყოფდეს ჩარჩოს სრსეჭზე ორ თანასწორ ნაწილად. ამ ფიცარზედ ვდებთ ხელოვნურ ფიჭას და დავარქვავთ ზედ მავთულით გახლართულს ჩარჩოს, რომლის გვერდები გარდა ძირისა ოდნავ უნდა ეხებოდნენ ხელოვნური ფიჭის გვერდებს. მერე ვავატარებთ ვუაღლეს კბილებიან რგოლს ხელოვნურ ფიჭაზედ გაწოლილ მავთულებზედ, რომელიც ჩაიმალებიან სანთელში და დამაგრდებიან. შემდეგ ავიღებთ სანთ-

ცხები, რომ მეტი თაფლის შემატანა შესძლონ, ვიდრემდისინ უშთავობესი დალიანობა გათავდება.

აი, ამისათვის დაუწყო კაცმა თავის ფუტკარს ხელოვნურად ჭმევა, ღამ-ღამიბით აძლივა სკაში ტკბილი შარბათი შაქრისა და თაფლისაგან შეზავებული. ეს საჭმელი ფუტკრებს მინდვრის ღალად მოაჩვენა, უხვად დააწყებინა მათ ღეღა-ფუტკრის კვება და იმანაც თავის მხრივ მოუმატა კვერცხის ღებას.


ასეთი ჭმევა გამოწვეულია ვაჭრულის სისარფით და არა გაჭირებით.

ესეთი ჭმევა უნდა ხდებოდეს შესაფერის სიტრითხილით და წინდახედულობით, თორემ სიკეთის ნაცვლად, მას შეუძლიან შესამჩნევი ზარალიც მოვიტანოს. ამისათვის:

1. ესეთი ჭმევა უნდა დაიწყებოდეს მაშინ, როდესაც ჩამოვარდება ერთბაში სითბო და ყინვა-სიცივების დაბრუნების შიში აღარ გვექნება. ასეთი ჭმევა ფუტკარს იზიდავს მინდორში სამუშაოდ და თუ სიცივები იქნება, მრავალი ფუტკარი გაიყინება და დაიღუპება, სკაში კიდებარტყი დაცივდება.

2. სარფის გულისთვის კვება შესაძლოა მაშინ, როდესაც სკაში საკმარისი საზრდო გვეგულება. სარჩო თუ ნაკლებად არის შეიძლება შევავსოთ ან შენახული თაფლის ზოდებით (სარაჭით), ან სქელი შარბათით.

სასარფო ჭმევით ჩვენ გვინდა გამოვიტყუოთ დედა ფუტკარი მეტის კვერცხის სადებლად, რომ ღალიანობის ღროს მეტი მუშა ფუტკარი გავიდეს მინდორში თაფლის საშოვნელად. გამოცდილებით გიცით, რომ საღაც ნა-



(სურ. 9)

ამ მანქანის რგოლი მოძრავია. მისი კბილები შეუზედ გადაღარულია ისე, რომ მავთულზედ გატარების შემდეგ, სანთელი გარს ეკვრის მავთულს და ამაგრებს.

ლის საღნობ ჩაიდანს, რომელიც გვეღვებულს მაყალზედ (უკეთესია წყლით სავსე ტაფაში იყოს იგი მოთავსებული), და ვაწებონებთ ფიჭას ჩარჩოს ნაპირებზედ ორსავე მხრიდან. უკვე გამორკვეულია, რომ დედა ფუტკარი აღრე გაზაფხულიდანვე იწყებს კვერცხის დებას, თუმცა ძალიან სუსტად კი, და, რამდენადაც მეტი თაფლიანობა ჩნდება მინდორში და დედა ფუტკარს უხვად ეძლევა საჭმელი, იმდენი იგი უმატებს კვერცხის დებას. უდიდეს ნაყოფიერებას კვერცხის დებაში იგი იჩენს უმთავრეს ღალიანობის დროს. მაგრამ სასარფაო განა ამ დროს ასეთი უხვი კვერცხის დება? — არა! პირიქით, საზარალოა: ამ ღროს ჩვენ გვინდა, რომ სკაში, რაც შეიძლება, მეტი მუშა ფუტკარი იყვეს და არა კვერ-

ყოფიერი დედა ორის, იმ სკაში 6—7 კვირაში თვალსაჩინოდ მრავლდება ფუტკარი. მაშასადამე, სასარფო ჭმევას 45—50 დღით წინ უნდა შეუდგეთ ვიღრე უმთავრესი ღალიანობა დადგება.

დიდ საფუტკრეებზედ ასეთი ჭმევა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც მოხდეს, ერთ დღეს ერთ ნაწილს მიეცეს საჭმელი, მეორე დღეს—მეორეს. ფუტკარი არ მიემგზავრება სხვა შინაურ ცხოველებს, რომელთაც თუ ერთხელ შეჩვეულს საჭმელს მოვაკლებთ, მაგალითად, ქერს, რომეს და სხვ., დამატი ჩამოსდით. ფუტკრებს რა დროსაც გინდათ აჭმევთ და როცა გინდათ მოუსპობთ საჭმელს.

სასარფო ჭმევა უნდა მოისპოს იმის შემდეგ, როდესაც მინდოორში აყვავილდებიან მცენარეები და სკაში ახალი თაფლი დაიწყებს ბზინვას, რადგან ახლად დაძრული თაფლი უფრო შეტს სიმხნევეს აძლევს დედას კვერცხის დების დროს, ვიღრე რომელიმე ხელოვნური ჭმევა. ამ დროს ხელოვნური ჭმევა უფრო შეაფერხებს დედას კვერცხის დებაში, რადგან ერთბაშად კარზედ მიმდგარი საჩქო ბევრს ბინას მოითხოვს და დედის ნაყოფიერება, ადგილის უქონლობისა გამო, ძალაუნებურად შეჩერდება.

ვისთვისაც ხელოვნური ჭმევა რისამე მიზეზით შეუძლებელი შეიქმნება, მას სხვა ხერხითაც შეუძლიან გამოიწვიოს დედა ფუტკარი კვერცხის სადებლად: საჭიროა მეფუტკრემ ხშირ-ხშირად ჩამოუაროს სკებს და მოკლე ჯო-

ნით დაუწყოს მათ ბრახუნი. ბრახუნის გამო ფუტკრები მიესევიან თაფლს, ხარბად ივსებენ ჩინჩახეს და დაშოშმინების შემდეგ უხვად აჭმევენ დედას.

ამავე მიზნისთვის შეიძლება სკებიდან ამოვილოთ თაფლ-გადაბეჭდილი ჩარჩოები, დანით გადაუხსნათ თავები და სალამოთი ისევ უკავე დაუბრუნოთ ფუტკრებს. ამ შემთხვევაშიაც ფუტკრები ხარბად ძლებიან თაფლით და დედასაც უხვად უმასპინძლუბიან, რასაც ჩვეულებრივ უხვი კვერცხის დება მოსდევს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრს ადგილებში ხელოვნური ჭმევა სრულებით საჭირო არ არის. ასეთია, მაგ., საგურამოს ველი, სადაც ჩვენა ვმეფუტკრეობთ. საგურამოს მიდამოში უმთავრესი ღალიანობა მაისის უკანასკნელ რიცხვებიდან იწყება; მაშასადამე აქ ხელოვნური ჭმევა უნდა იწყობოდეს პირველ აპრილიდან, მაგრამ ამ ხანებში, გარდა იშვიათი შემთხვევისა, ჩვენს ფუტკრებს უკვე მხიარული მუშაობა აქვთ გაჩაღებული. მინდორ—ბალებში გაშლილი, შინდი, კინ კრიფა, ნუში, ატამი და სხვა აღრეული ხეხილი.

ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის გადასაწყვეტად მეფუტკრემ უნდა ამოარჩიოს რამდენიმე თანასწორი ღონის ოჯახი, ნახევარს მათგანს აქამის ხელოვნურად და ნახევარს-კი არა. თუ ორი-სამი წლის გამოცდამ დაარწმუნა, რომ ხელოვნურ ჭმევას უფრო უკეთესი შედეგი მოჰყვა, მაშინ ყოველ წლივ წესად გახდის ასეთ ჭმევის თავის საფუტკრეზე.

გლეხ-კომპერატიონის სახელმძღვანელოდ

(შემდეგი*)

V

კოოპერატივები სახაგან და ჩვენში

დიდი ხანია, რაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მშრომელმა ხალხმა შეიგნო კოოპერაციის მნიშვნელობა. მათ მრავლათ აქვთ გახსნილი სხვადა-სხვა გვარი კოოპერატიული საზოგადოებანი. მაგალითად ინგლისში, რომელიც სამართლიანად ითვლება კოოპერაციის სამშობლოთ, 1905 წელს ითვლებოდა 1700 საზოგადოება 4.000.000 წევრით. პაწაწინა ბელგიაში არსებობს 1800 კოოპერატივები, რომელებშიაც ითვლება 200.000 წევრი. ასევე მრავლადაა კოოპერატივები სხვა სახელმწიფოებშიაც.

სხვადასხვა სახელმწიფოში ერთი რომელიმე გვარი კოოპერაცია სკარბობს სხვებს, მაგალითად ინგლისში და ბელგიაში მომეტებულ ნაწილად მომხმარებელი საზოგადოებები არიან, სამაგიეროთ დანიაში მომეტებულ ნაწილს სასოფლო კოოპერატივები შეადგენენ.

რუსეთშიაც მრავლად არის კოოპერატივები, მაგრამ დასავლეთ ქვეყნებთან შედარებით კი სათქმელი არ არის. ექვს მილიონიან ბელგიაში ითვლება 1800 საზოგადოება, უზარმაზარ რუსეთში კი 10.300. აქედან 4.686 არის საკრედიტო კოოპერატივები, 1.533—სასოფლო-სამეურნეო, 2.849—მომხმარებელი და დანარჩენი სხვა გვა-

რი. ამას გარდა რუსეთში არსებობს რამდენიმე საოლქო კოოპერატივთა კავშირებიც.

კოოპერატივები ჩვენშიაც არსებობენ. სტატიისტიკური ცნობებით ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ითვლება 7, მომხმარებელი—18, საკრედიტო უფრო მეტი.

როგორ უნდა გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

VI

კველაზე ადვილი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსება არის. დამაარსებელნი მხოლოდ უნდა გაეცნონ სანიმუშო წესდებას კარგად და, თუ დარწმუნდებიან, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გახსნა მართლა აუცილებელი საჭიროებაა, შეუდნენ მის გახსნის თადარიგს.

ამისთვის საჭიროა შეგროვდნენ არა ნაკლებ 10 კაცისა, რომლებიც მოაწერენ ხელს, ჩასწერენ თავიანთ სახელს, მამის სახელს, გვარს, წოდებას და ბინადრობას.

ამ წესდების მიღება შეიძლება კავკასიის სიმბერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებიდან პირადად ან ფოსტით (ტფილისი, ბარიათინსკის ქუჩა, № 5).

ეს წესდება უნდა მიეცეს ადგილობრივ გუბერნატორს თხოვნასთან ერთად:

თხოვნასაც იმდენმა დამაარსებელმა უნდა მოაწეროს ხელი, რამდენიც წესდების პროექტს.

*) იხილე „მოსავალი“ გვ-7 №.

ეს თხოვნა წესდების პროექტით, რომელიც იშვიათად მოიხსენია, ეგზავნება გუბერნატორს.

თხოვნის და წესდების პროექტის გავზავნის დროს დამაარსებლებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ როგორც თხოვნაზე, აგრედვე წესდების პროექტზე საგერბო მარკების და კვრა არ არის სავალდებულო. ასეთი შუამდგომლობა განთავისუფლებულია საგერბო გარდასახალისაგან.

დამფუძნებელ კრების მოწვევა არ შეიძლება, ვიდრე გუბერნატორისაგან ნებართვა არ იქნება მიღებული. ნებართვის მიღებისათანავე კარგი იქნება, თუ დამაარსებელნი სთხოვენ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარიგებას და მცოდნების გაზიარებას.

ყოველს შემთხვევაში საჭიროა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების არსებობა იქნება უზრუნველყოფილი, რომელიც წევრთა სამეურნეო საჭიროებით არის გამოწვეული. საჭიროა აგრედვე ვიცოდეთ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სანიმუშო წესდებაც გლეხების ფართო წრევაში გასავრცელებლად, რომელიც ამ მიზნით იქვე მოგვყავს.

სანიმუშო წესდება

ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო

საზოგადოებისათვის.

„ „ სასოფლო-სამეურნეო
საზოგადოება

I

მიზანი საზოგადოებისა და მიზნის განსახორციელებელი საშეადებანი,

მისი უფლებანი და მოვალეობანი

§ 1 სასოფლოსამეურნეო საზოგადოების მიზანია, დაქმაროს თავს სამოქმედო

რაიონში, წევრთა საერთო ძალალინებით სასოფლო ფლობების და სასოფლო ჭრის მიზანის გაფართოებას გაუმჯობესებას.

§ 2. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას უფლება აქვს:

1) შეისწავლის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დარიგების მდგრადირეობა და გამოიკვლიოს მეურნეობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი ამის შესახები კითხვების ურთიერთ შორის განსჯით პერიოდულათ მოწვეულ წევრთა კრებებზე და სასოფლო-სამეურნეო საუბრებზე; მოაწყოს ექსპედიციები და ექსკურსიები როგორც თავის წევრთა მეურნეობი განსახილველად, აგრედვე საზოგადოდ ყოველგვარ სასოფლო-მეურნეობის განსახილველად.

2) გაავრცელოს თეორეთიული და პრაქტიკული ცნობები სასოფლო მეურნეობიდან საჯარო კითხვების მოწყობით, ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო თხზულებათა ბეჭვდით და გავრცელებით და, თუ შეიძლებს, საკუთარ პერიოდულ უზრნალის, სასოფლო-სასწავლებლის, ბიბლიოთექის და მუზეუმის დაარსებით.

3. იზრუნვას მეურნეობის წარმოების უფრო ნამდგილ საშუალებების შემცირებაზე იმ კულტურულ ზომებით, რომელთ ხმარება მიღებულია სხვა ქვეყნებში, როგორც რუსეთისა აგრედვე საზღვარგარეთისაში, რათა გავრცელდეს ამ ზომათაგანი ის, რომელიც სასარგებლო იქნება დაგილობრივ მეურნეთათვის, სამიწათმოქმედო მანქანების, იარაღების და სხვ. კონკურსის მოწყობით; საცდელ სადგურების და მინდვრების, ფერმების და სანერგების დარსებით და მის სამოქმედო რაიონში ამგვარ დაწესებულებათა დაბმარებით, როგორც უკვე არსებულთა, აგრედვე იმათი, რომელიც შემდეგში დაარსდებიან.

4) დაქმაროს მეურნეობით მათ სასოფლო-სამეურნეო აღებ-მიცემობაში სასარგებლო დარიგების მიცემით, მფარველობის და მეურნეთათვის საჭირო სამეურნეო საგნების ყიდვის და მათ ნაწარმოების გაყიდვის დროს შუამავლობის გაწევით, რისთვისაც პრესის საკომისიო ბიუროებს, სასოფლო-სამეურნეო საწყობებს და სხვ.

და 5) გამართოს გამოთვენები, აუქციონები და გაამზნეოს მშრომელნი და მოღვაწენი სა-

სოფლო-სამეურნეო ასპარეზზე სხვა და სხვა საპატიო სახურების მიცემით.

შენიშვნა: საზოგადოებას უფლება აქვს, თავმჯდომარის პასუხისმგებლობით, უწინასწარო ცენტორით პრეკდოს ისეთი სპეციალური სამეურნეო გამოცემანი, რომელთა გამოუქვეყნელობა საქმითოების საზარალო იქნება, როგორადც საზოგადოების კრებების უზრანალები, ანგარიშები, კითხვების ფურცლები და პროგრამები შესაკრებათ სხვა დასხვა ცნობებისა, რომლებიც შედიან საზოგადოების მოქმედების ფარგალში და სხვა. შეუძლიან პრეკდოს როგორც ცალკე, აგრძელებული ცერიონული გამოცემები, რომლების ბეჭვდასაც გამოიწვევს საზოგადოების მიერ გამოუქნა. საზოგადოების მიერ დაარსებული საწყობი სამიწათმოქმედო მანქანების და იარაღების, ხელოფნურ სსუქის და სხვა სასოფლო-სამეურნეო წიგნების გასასყიდვად პირდაპირ გადასახ. 223 მუხ. ძალით (223 ც. უსტ. პრომ. ნალოგ. ცვიდ ვაკ. ტ. V, ვაზ. 1893 გ.) განთავისუფლებულია საგამრო გადასახალისაგნ. საჯარო კითხვების, კრებების, გამოფენების, საცდელ საღვრულების, სასწავლო ფერმების სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების დაარსებაში და პერიოდულ ურნალის გამოცემაში საზოგადოება ექვემდებარება ამის შესახებ არსებულ დადგენილებების და ყოველ ამგვარ შესმოხვევაში ითხოვს სათანადო ნებართვას. საზოგადოების ბიძლითოეთვა ექვემდებარება 5 იანვრის 1884 წ. უმაღლესად დამტკიცებულს ლროვბით წესებს და მო განსამარტინად გამოცემულს კანონწესებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯარო ბიბლიოთეკების და სკითხავ კაბინეტების შესახებ განკარგულებებს. საზოგადოების ჯილდოს სურათი უნდა დამტკიცებულ იქნეს სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქრებათა სამინისტროს მიერ.

ქ 3. მოქმედების გაფართოების შემდევ საზოგადოებას გუბერნატორის ნებართვით შეუძლიან დაარსოს თავისი სამოქმედო საგნების შესახებ სპეციალური კომიტეტები და გასხანას სამოქმედო რაონიში ადგილობრივი განყოფის ლებები; აგრძელებულ მას უფლება აქვს დაეხმაროს თავისის წევრებს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამუშავებაში და გაყიდვაში, დამხმარე ამხანაგობების დაარსებაში და თვით მოაწყოს დადგენილის წესით ასეთივე ამხანაგობები. უფლებებს და მოვალეობას ადგილობრივ განყოფილებისას და აგრძელებულ სპეციალურ კომიტეტებისას ადგენს საზოგადოება

სანიმუშო წესდების საზღვარში. საზოგადოებას უფლება აქვს თავისთავად დახურულს განუყილებები და კომიტეტები, მხოლოდ მათ დახურების შესახებ, როგორათაც განყოფილების და კომიტეტების გახსნის დროს, უნდა ეცნობოს გუბერნატორს და მიწათმოქმედების დეპარტამენტს.

ქ 4. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინონას თავისი მიზნისთვის საჭირო უძრავ-მოძრავი ქონება ყველა კანონიერის წესებით, აგრძელებები შეუძლიან გაყიდოს და დააგირაოს უძრავი ქონება და ფასიანი ქაღალდები და თავის მოქმედების საგნების შესახებ შეეკრას გარეშე დაწესებულებებს და ცალკე პირზე ხელშერილით საზოგადო კანონების ძალით.

ქ 5. საზოგადოება უდგენს მოხსენებას სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო საჭიროების შესახებ თავისი მოქმედების ფარგალში და ყველა საქმებზე აქვს მიწერულწერა ადგილობრივ დაწესებულებებთან და პირებთან.

ქ 6. საზოგადოებას უფლება აქვს იშუამდგომლოს მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე განსაკუთრებულ სასაჩვენებლო სასაფლო-სამეურნეო მოლუაწეობისათვის საპატიო ჯილდოს მიცემის შესახებ.

ქ 7. საზოგადოებას სასოფლო-სამეურნეო წესდების მე-32 მუხ. ძალით (1895 წ. გაგრ.) უფლება აქვს, მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნებართვით თავისი დარბაზში დაკითოს იმ წევრების ან გარეშე პირების სურათები, რომელთაც თავიანთის შრომით განსაკუთრებული სარგებლობა მოუტანეს სასოფლო მეურნეობას.

ქ 8. საზოგადოება ექვემდებარება მიწათმოქმედების დეპარტამენტს, რომელსაც ყოველწლივ უდგენს ანგარიშს, თავისი მოქმედების შესახებ. ამ ანგარიშში, შეიძლება მოყვანილი იყოს ის ცნობებიც, რომლის ჩამატებას თვით საზოგადოება იცნობს საჭიროთ. გარდა ამასა უნდა იყოს მოთავსებული: 1) სახელმწიფი თისია საზოგადოების ყველა წევრთა და თანმდებობის პირთა; 2) ცნობები საზოგადოების თანხების მდგომარეობისა და მათი მოძრაობის შესახებ და 3) ცნობები საზოგადოებასთან არსებულ დაწესებულებებთან შესახებ.

ქ 9. საზოგადოებას აქვს ბეჭედი საგუბერნიო დაწესებულებათათვის მიღებულის ნიმუშისა.

ს. კახელიძე

(უმდეგი იქნება)

მასლა სამეცნიერო ციფრულის უსადგენი

უბრალო ბალახები

კლდე-ღუმა	ვეგავი გუდა
ხარის-კბილა	გუდა ფშიკა
ქრისტესის ხელა	შავტარია
ვირის-ბილა	უზალია
ეშმაქის სანთელა	ქაცნარა
თბოლი ჭინჭარი	ქინძნარა
ურალა ბალახი	საწუწინელა
ჭავე	ფოლია
ენდრონიკა	თავშეალა
ქარელა	თშეში

სალებავი ბალახები

ორთოთი,	შავად	* ინა,— წითლად
* რძიანა,— ევით —	სარითესელა,— ევით	
ლად	ლად	

ევის ხავსი

ეკრა,— უვითლად	ქარაგოზი,— ნარინ-
სალებავი	ჯად საღებავი

სამკურნალო ბალახები

შავთარა	ქარცეცხლა,— მუწე-
თეხტია ან თოხვერა	კისთვის ხმა-
ხარისულა	რობენ
ხარისმირა	* ვირიორენა,—
დიდგულა	სეველებისათვის
ბაბაჩელა	
აბზინდა,— წწილის	* წალია,— იარას
გასაწევერი	გააღებს
ჩიჩევის ბალახი,—	
ჩიჩევის გასა-	* ეაფაჩო,— იარა-
წევერი	სათვის

ყვავილები

პრაჭიჭა	ჭარელა
ნებრ	მთას უაერთ
ობოლი უაერთ	

ეპლები

გროგოშა	კურასთავი
გრეგო	

შეამინი ბალახები

ძაღლინორა	ძაღლინინა
-----------	-----------

საჭმელად ხმარებული

ფამინარა	* მოლოქა— კორ-
დიმი	კოტინა
შეალი	დაფა
* დაფალი— დოლი	ტიტა
სუქანა	* ჭახი— ქარქევერი

სურნელი ბალახები

ჟაშტანია	✓ მინდვრის ქონდარი
გვილიავი	✓ მინდვრის წიწმარი
ქარაძენია	

მინდვრის ხილი — ძირთავები:

ატოლი	სკეინი
თერთ	მამლითვალია, სხ-
მატუკი	გლ— მარწევა

ჭინახული

ღოლი	მასობელი
ფიგი	

ბოსტნეული

შიწივაშლა	აეორო
მზესუშზირა	ქესტანია

ჩირგვები, რომლის ნაყოფსა სჭამენ

ქოლო	სკალია
გროგოში	უზანი
ლაბა	ჭანავი

ტყის ხე-ხილი

გელური ოსილი	ტეებალი
ნანტა	ფშატო-ზანტა
მსესალანტა	ტეები ვაშლია ან მა-კაკნაბი-ჭანა
ლავა	ჭალა

უბრალო ხე-ჩირგვები

თხითველა	თელა
ტირიფი-ძეწინი	იელი
ითნი	ითნი
ლვია	უზანი

ხეხილი ყურნის გვარი:

ბუდეშური	თითა
თავცეცხლა	ცხენისძუძუ
კლერტიმგარა	ბუჯანა
არიჭულა	საფერავი— საღვინე

ვაშლის სახელები

სობა	ეარაფილია
მასარა	ფაშალმა
შაქარეშლა	ნაბადაფრეშლია
შაალმა	აჭარულა გაშლია

მსხალის სახელები

მისრიკი	ეაბაღარშედი
გვერდითელე	ბეგააარშედი
გვირისტაგა	ნანაზირი
სანთელე	ნანაშესალი

სხვადასხვა ხილი	ჭანჭურა ბონდი
ეკის-წირანია	საპთი ატაში
თამაზი	სახავი ატაში
ფლდნაშა	წერა
წერა	წერა
ხარებისა და კამეჩების სახელი	გოტორა
ჭომა	ალმასა
სარია	ალმასა
ჭიდალა	ერაგოზა
შენიშვნა:	ის სიტყვები, რომელთაც ვარა

სკვლავები უზის, „მოხავალში“ 8, 9, 10 და 13. 1910 წლისა არის დასტურამ-ბული უბრალო ბალახებში. მე გვარაჩიე იმ ბალახების სახელები და თავით დარღვი ჩავსვი—სამკურნალო ცალკე, საღებავი ბალა-ხები ცალკე და სხვა. შესაძლებელია ამავე ბალახებს სხვა დაბა-სოფლებში კიდევ სხვა სახელებს უწოდებენ, საჭიროა ისინიც მიემა-ტოს. ამ გზით შეპროცედება მასალა და გა-დვილდება ლექსიკის დაბეჭვდაც. მესხი კ. გვარამაძე

კომისიონერი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

გ. ე. ფრიდონოვი ჩ. ტფილიშვილი

აცხადებს სოფლის მეურნეობა საყურადღებოდ, რომ მის საწყობიდან მსუ-რველთ შეუძლიანან შეიძინონ:

სუფთა შაბიაბანი საუკეთესო ინგლისის ფირმებისა—მაკელსფილდისა და სხვებისა 98—99% გარანტით;

გამოხდილი გოგირდი საკუთარი მარკისა და სხვა მარკებისა;

პარიჟის წმინდა შევინფურტის მწვანე ფხვნილი გოლენდლეის ფაბრი-კისა ლონდონში;

„ეკლერი, „შლეზინგერი“ და სხვა ფხინველები;

თამბაქოს გამონახადი (ექსტრაკტი);

გოგირდმეტიკანი (პოლისულფიდები);

კარბოლინეუმი ავენარიუსი;

ქლორინანი ბარი;

ჭიის წებო; კვასია; რკინის შაბიაბანი; მწვანე საპონი; ლვინის ტანინი; აზბესტი; დელფინის ქონი; უელატინი ლენესი; რაფია.

ბალ-ვენახებში სახმარებელი ყველანაირი იარაღები. ზურგზე ასკიდებელი და ცხენით სამუშავებელი აპარატები ვერმორელისა, პლატკასი და სხვებისა.

ტორპილები, საბერვლები და მაგენის აპარატები.

ყველანაირი იარაღები და აპარატები სახმარებელი სარდაფებში ღვინისა და ტკბილის შესამოწმებლად.

უურნის დასაწური საქაჯავები, საცეხვები, პომპები და გუთნები საუკე-თესო ფირმებისა.

ხილის გასახმობი, კონსერვების მოსამზადებელი, ნედლი ხილის საგზაოდ ჩასწყობი იარაღები და მაშინება.

ხელოვნური ანუ მინერალური სასუქები.

სათიბი ბალახების თესლი, ფრანგული იონჯის თესლი თავდებობით.

ყველა ჩამოვთვლილ ავეჯ-იარაღ-მასალების გარდა ფირმა კისრულობს მებალეობისა და მელვინეობისათვის და აგრძელვე სხვა ყველა სასოფლო მეურ-ნეობაში საჭირო ავეჯ-იარაღების გამოწერას.

ცნობების მისაღებად მსურველი მიშართავენ ქ. ტფილიშვი მ. ე. ფრიდონოვს.

კატალოგები იგზავნება უფასოდ.